ბურთიად
GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

*02 Ekim / ოქტომბერი 2023*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon /ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 736.4 | 6671.9 | 10.1% | 17.3 % | 0.9% |

## United Payment Gürcistan'da Dijital Havale Hizmeti Uyguladı

## United Payment-მა საქართველოში ციფრული ფულადი გზავნილების სერვისი დანერგა




United Payment Gürcistan'da ödeme hizmeti sağlayıcısı lisansı alan ve faaliyetlerine Smart Safe hizmeti ile resmi olarak Haziran ayından beri başlamış, Eylül ayında ise uluslararası para havaleleri de dahil eden uluslararası FaaS (Fintech as a Service) şirketidir.

United Payment dünya çapında çeşitli dijital havaleler üzerinde çalışan Fintech şirketlere para akışının Gürcistan'a aktarma yönleri sunuyor. Hizmet, hem yabancı uyruklu vatandaşlara, hem yurtdışında bulunan göçmenlere havale 3 kez daha ucuz yapma imkanı vermekte, para alıcının banka hesabına anında yatırılır. Bu yönde şirketin ilk ortağı Türkiye'de faaliyet gösteren firması Turan oldu. Turan'ın mobil uygulamasından (https://turan.app/) havaleler şu an için ücretsiz olarak gönderilir.

Şirket müdürü Nino Chedia şunları ifade etti: "Bizim için söz konusu hizmetin uygulanması oldukça önemli, çünkü bununla göçmenlerimize ve her bir isteyene rahat, hızlı ve ucuz bir hizmeti sunabiliriz. Bunun haricinde Gürcistan'a United Payment'in yıllarca işbirliği yürüttüğü, dünyaca ünlü, önder dijital havaleler şirketleri götürebiliriz. Bu konuda büyük planlarımız var. Aşama aşama yeni firmaları ilave edip ağımızı bu şekilde genişleteceğiz."

United Payment'in Gürcistan haricinde Büyük Britanya, Romanya, Azerbaycan ve Türkiye'de bölge müdürlükleri bulunuyor, firma yakın zamanda Özbekistan pazarına da açılacak. Firma hem yerel, hem küresel piyasaya aşağıdaki hizmetleri sunmakta:

- Yurtiçi ve uluslararası havaleler
- Firmaların nakdini yönetmek için akıllı kasalar, SmartSafe'ler
- Prepaid kartlar ve elektronik cüzdan
- Online ve Offline ödemeler
- Sadakat programları

United Payment-ი საერთაშორისო FaaS (Fintech as a Service) კომპანიაა, რომელმაც საქართველოში საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიცენზია მოიპოვა და საქმიანობა ოფიციალურად ივნისის თვიდან, Smart Safe-ებით დაიწყო, ხოლო სექტემბრიდან, საერთაშორისო ფულადი გზავნილებიც ჩართო.

კომპანია მსოფლიო მასშტაბით, სხვადასხვა ციფრული გზავნილის ფინტექ კომპანიებს, ფულადი ნაკადების საქართველოში გადმორიცხვის არხებს სთავაზობს. მომსახურება, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ ემიგრანტებს საშუალებას აძლევს განახორციელონ გზავნილები 3-ჯერ უფრო იაფად, თანხ ა მიმღების საბანკო ანგარიშზე მომენტალურად აისახება. ამ მიმართულებით კომპანიის პირველი

პარტნიორი Turan-ია, რომელიც თურქეთში ოპერირებს. Turan-ის მობილური აპლიკაციიდან (https://turan.app/) თანხები თურქეთიდან საქართველოში, ამ ეტაპზე უფასოდ იგზავნება.

„ჩვენთვის აღნიშნული სერვისის დანერგვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ამით საშუალება გვეძლევა ჩვენს ემიგრანტებს და ნებისმიერ მსურველს კომფორტული, სწრაფი და იაფი სერვისი შევთავაზოთ. გარდა ამისა, საქართველოში შემოვიყვანოთ მსოფლიოში ცნობილი და წამყვანი ციფრული გზავნილის კომპანიები, რომლებთანაც United Payment-ი უკვე წლებია თანამშრომლობს. ამ მიმართულებით დიდი გეგმები გვაქვს. ახალ კომპანიებს ეტაპობრივად დავამატებთ და ამ გზით გავაფართოვებთ ჩვენს ქსელს“ - განაცხადა კომპანიის დირექტორმა, ნინო ჭედიამ.

United Payment-ს, საქართველოს გარდა, რეგიონალური ოფისები დიდ ბრიტანეთში, რუმინეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში აქვს გახსნილი, უახლოეს თვეებში კი უზბეკეთის ბაზარზეც შევა. კომპანია როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზრებს შემდეგ ფინანსურ მომსახურებებს სთავაზობს:

- შიდა და საერთაშორისო ფულადი გზავნილები
- კომპანიების ნაღდი ფულის სამართავი ჭკვიანი ყუთები, SmartSafe-ები
- Prepaid ბარათები და ციფრული საფულე
- Online და Offline გადახდები
- ლოიალურობის პროგრამები

## Gürcistan Başbakanı “Badagoni” Şarap Şirketi Ziyaret Etti

## პრემიერ-მინისტრმა ღვინის კომპანია „ბადაგონი“ დაათვალიერა



Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili Çevre Koruma ve Tarım Bakanı Otar Shamugia ve Hükümet İdaresi Bölgesel İlişkiler Departmanı Müdürü Leri Barnabishvili ile birlikte “Badagoni” şarap üreticisi firmayı ziyaret etti.

Hükümet Başkanı şarap fabrikasını gözlemleyip “Badagoni”deki üretim sürecine dair bilgi edindi.

“Badagoni” Şarapçılık 2006 yılında kurulmuş, Akhmeta ve Manavi’de 2 fabrikaya sahip bir firma. Firmanın Kakheti’nin her mikro bölgesinde toplam 400 hektar üzüm bağı bulunuyor. Yılda toplam 12 milyon şişe- Şarap, şampanya ve çaça üretmektedir. “Badagoni” dünyanın 35 ülkesinde faaliyet göstermekte olup hem iç pazarda, hem ihraç pazarında liderdir. 1000’den daha fazla kişi istihdam eden firma bu sene 10 000 ton üzüm işlemeyi planlıyor. Üzüm almak için Badagoni 15 milyon Larilik tarım kredisinden faydalanmaktadır.

Bunun dışında, firma tarafından “Gürcistan’da Üret” hükümet programı kapsamında 2 500 000 Larilik kredi ile 3800 metrekarelik yeni üretim alanı inşa edildi. Şimdilik “Badagoni” nüfusten 7000 tona kadar üzüm almıştır.

“Badagoni”de Başbakan’ın yanında yürütme erki, yasama gücü ve yerel hükümet temsilcileri de hazır bulunmuşlardır.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრთან – ოთარ შამუგიასთან და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსთან – ლერი ბარნაბიშვილთან ერთად ღვინის კომპანიაში „ბადაგონი“ იმყოფებოდა.

მთავრობის მეთაურმა ქარხანა დაათვალიერა და „ბადაგონში“ საწარმოო პროცესის შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

მეღვინეობა „ბადაგონი“ 2006 წელს დაარსდა, რომელიც ფლობს 2 ქარხანას ახმეტასა და მანავში. კომპანიას 400 ჰექტარი ვენახები აქვს კახეთის ყველა მიკროზონაში. ის აწარმოებს ღვინოს, ცქრიალა ღვინოს და ჭაჭას; ასევე – წლიურად 12 მილიონ ბოთლს. „ბადაგონი“ ოპერირებს მსოფლიოს 35 ქვეყანაში და ლიდერია როგორც შიდა ბაზარზე, ისე ექსპორტის მიმართულებით. კომპანია, სადაც დასაქმებულია 1000 კაცზე მეტი, წელს 10 000 ტონა ყურძნის გადამუშავებას გეგმავს. „ბადაგონი“ ყურძნის შესაძენად აგროსესხით, 15 მილიონი ლარით, სარგებლობს.

ასევე, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველო“ ფარგლებში 2 500 000 ლარიანი სესხით ახალი საწარმოო ფართი აშენდა 3800 კვადრატულ მეტრზე. ამ ეტაპზე კომპანიას მოსახლეობისგან შეძენილი აქვს 7000 ტონამდე ყურძენი.

„ბადაგონში” პრემიერ-მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

### “Wine Kakheti” Gürcistan Bankası’nın Desteğiyle Güneş Panelleri Kurdu

### საქართველოს ბანკის მხარდაჭერით „ვაინ კახეთმა“ მზის პანელები დაამონტაჟა




Güçlü bir özel finans kurumu olarak, Gürcistan Bankası yeşil enerji alanındaki yeni projeleri aktif halde desteklemeye devam ediyor.

Şarap üretici firması “Wine Kakheti” banka ile işbirliği halinde tam bu maksadıyla güneş panelleri kurdu.

Projenin toplam maliyeti 500 000 Laridir ve Gürcistan Bankası ile EBRD’nin mali yatırımı ile yürütülmektedir. Söz konusu proje kapsamında fabrikada 360 kilowatt-saat gücündeki güneş panelleri kuruldu. Firma 2024 yılına kadar güneş panelleri eklemeyi ve kademeli olarak alternatif enerji kaynağına geçiş yapmayı planlıyor.

“Wine Kakheti” 2017 yılında kurulmuş bir şarap üretici firmasıdır. “Wine Kakheti” Kakheti’nin en güzel yörelerinde Saperavi; Rkatsiteli; Kakhuri Mtsvane; Kisi ve Khikhvi çeşitleri üzüm bağları bulunan yenilikçi teknoloji ile donatılmış, bölgenin en başarılı şarap imalathanelerinden birisidir. Firma 200’den daha fazla kişiyi istihdam eder.

საქართველოს ბანკი, როგორც ძლიერი კერძო ფინანსური ინსტიტუტი, მწვანე მიმართულებით ახალი პროექტების ხელშეწყობას აქტიურ რეჟიმში განაგრძობს. სწორედ ამ მიზნით, ბანკთან პარტნიორობით, ღვინის კომპანია „ვაინ კახეთმა“ მზის პანელები დაამონტაჟა.
პროექტის ჯამური ღირებულება ნახევარი მილიონი ლარია და ის საქართველოს ბანკისა და EBRD - ის ფინანსური ინვესტიციით ხორციელდება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქარხანაში დამონტაჟდა 360 კილოვატის სიმძლავრის მზის პანელები. კომპანია 2024 წლისთვის მზის პანელების დამატებას და ენერგიის ალტერნატიულ წყაროზე ეტაპობრივად გადასვლას გეგმავს.
„ვაინ კახეთი“ ღვინის კომპანიაა, რომელიც 2017 წელს დაარსდა. ის არის რეგიონში ერთ - ერთი ყველაზე დიდი წარმადობის, უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილ ღვინის ქარხანა, რომელიც კახეთის რეგიონის საუკეთესო ზონებში საფერავის, რქაწითელის, კახური მწვანეს, ქისისა და ხიხვის ჯიშის ვენახებს ფლობს. კომპანია 200 - ზე მეტ ადამიანს ასაქმებს.

## Dünya Turizm Günü 2024 Yılında Gürcistan’ın Ev Sahipliğinde Düzenlenecektir

## საქართველო 2024 წელს მსოფლიო ტურიზმის დღის მასპინძელი ქვეყანაა




Gürcistan 2024 yılında Dünya Turizm Günü’ne ev sahipliği yapacaktır. Bu ünvan ülkeye Suudi Arabistan’ın Riyad şehrinde verildi.
Dünya Turizm Günü 30 yıldan daha fazladır yıllık olarak, çeşitli kıtalarda düzenlenmektedir.
Dünya ülkelerinden temsil heyetlerin katıldığı etkinlik büyük bir önem taşıyor.
Mariam Kvrivishvili’ye göre, komisyon kararı dünya turizm endüstrisinde Gürcistan’ın önemli rolü, tanınırlığı ve potansiyeli vurgulamaktadır.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Dünya Turizm Etkinliği'ne Mariam Kvrivishvili ile birlikte Ulusal Turizm İdaresi Başkanı Maia Omiadze de iştirak etti.
Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Turizm Liderleri Forum'una katılanları Gürcistan'da 2024 yılında Dünya Turizm Günü'ne ilişkin düzenlenecek etkinlik hakkında bilgilendirdi.
Gürcistan heyeti ayrıca çeşitli çalışma oturumlara ve ikili görüşmelere katıldı.

საქართველო 2024 წელს მსოფლიო ტურიზმის დღის მასპინძელი ქვეყანაა. ეს ტიტული ჩვენს ქვეყანას საუდის არაბეთში, ქალაქ რიადში გადმოეცა.
მსოფლიო ტურიზმის დღე 30 წელზე მეტია ყოველწლიურად, სხვადასხვა კონტინენტზე იმართება.
ეს არის ძალიან მასშტაბური ღონისძიება, რომელშიც მსოფლიოს ქვეყნებიდან წარმომადგენლობითი დელეგაციები მონაწილეობენ.
მარიამ ქვრივიშვილის შეფასებით, კომისიის გადაწყვეტილება ხაზს უსვამს საქართველოს მნიშვნელოვან როლს მსოფლიოს ტურიზმის ინდუსტრიაში, მის ცნობადობასა და პოტენციალს.
მსოფლიო ტურიზმის დღის ღონისძიებას, მარიამ ქვრივიშვილთან ერთად, ასევე ესწრებოდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე.
მინისტრის მოადგილემ ტურიზმის ლიდერების ფორუმზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია საქართველოში 2024 წელს მსოფლიო ტურიზმის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიების შესახებ. საქართველოს დელეგაციამ ასევე მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სამუშაო სესიასა და ორმხრივ შეხვედრებში.



## Rusya'dan Buğday İthalatı Artıyor, Fiyat Düşüyor

## რუსეთიდან ხორბლის იმპორტი იზრდება, ფასი კი მცირდება



Ağustos Ayında Ekonomi %5.8 Oranında Artış Gösterdi

აგვისტოში საქართველოს ეკონომიკა 5.8%-ით გაიზარდა




Dressup Group Acara Bölgesinde 14 Yeni Mağaza Açacak

დრესაპ ჯგუფი აჭარის რეგიონში 14 ახალ მაღაზიას ხსნის

Kamu Hizmetleri Sektöründe Stajyerlik Ücretli Olacak

საჯარო სამსახურში სტაჟირება ანაზღაურებადი ხდება




ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC Waikiki · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING



2022 Yılında Yayıncıların Zaten Düşük Reklam Geliri 10 Milyon Lari Azaldı

2022 წელს მაუწყებლების ისედაც მწირი სარეკლამო შემოსავლები 10 მლნ ლარით შემცირდა

Deri Dünya Pazarında Pahalılaşıyor

მსოფლიო ბაზარზე ტყავი ძვირდება





Antarktika'daki Deniz Buzu Seviyesi Rekor Düşük Seviyede

ანტარქტიკაში წყლის ყინულოვანი მასა რეკორდულად შემცირებულია

**Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი**

GEL/USD – 2.6783 TRY/GEL – 0.0977 EUR/GEL – 2.8422 GBP/GEL – 3.2852

USD/GEL
26 - 02 Ekim 2023



USD/TR
26 - 02 Ekim 2023



TRY/GEL
26 - 02 Ekim 2023



BTC – 25 782. 3
26 - 02 Ekim 2023

